

ჩატარდება თუ არა ჰომოფობიის წინააღმდეგ აქცია?



“თანასწორობის მოძრაობაში” ჯერჯერობით ისევ მსჯელობენ, რა ფორმით უნდა აღინიშნოს ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

“თანასწორობის მოძრაობაში” შეკრებულ აქციის ორგანიზატორები ოფისში სამუშაო შეხვედრას მართავენ და გადაწყვეტილებების მიღებაზე მსჯელობენ. უცნობია, რა შედეგებით დასრულდა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრა, რომელიც აქციის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა.

“თანასწორობის მოძრაობის” წევრის, გიორგი თაბაგარის თქმით, 17 მაისი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დღეა.

“ჩვენ ვიცით რა პროცესებსაც აქვს ქვეყანაში ადგილი. 17 მაისი ეს არის დღე, რომელიც მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. გუშინ გვექონდა შეხვედრა შსს-სთან და შესაბამისად ახლა გვაქვს უბრალოდ სამუშაო პროცესი, სადაც ვმსჯელობთ იმაზე რას და როგორ ვაკეთებთ ხვად. ამ დეტალებზე მოგვიანებით გავაკეთებთ განცხადებას.” - განაცხადა თაბაგარმა.

გიორგი თაბაგარი არ აკონკრეტებს, შეიცვალა თუ არა აქციასთან დაკავშირებული გეგმები, გუშინ შსს-ში გაამართული შეხვედრის შემდეგ.

ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე საქართველოში 2011 წლიდან აღინიშნება. IDAHOTB-ს აღნიშვნას 2012-2013 წლებში დაპირისპირება მოჰყვა, ადამიანის

უფრებების დაცვისთვის გამოსურ მოქარაქეებს, “ქართური ტრადიციების დაცვის მოტივით” მოქარაქეთა მრავარრიცხოვანი ჯგუფი დაუპირისპირდა, რომედთა რიგებში სასურდერო პირებიც იყვნენ. ადგირი ქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას. IDAHOTB-ს აღნიშვნისთვის გამოსური აქტივისტები ტერიტორიიდან პოდიციამ სპეციალური ტრანსპორტით გაიყვანა.